

ბარათი 1. რამდენიმე ძირითადი საბანკო ტერმინი

თანხის ანგარიშზე ჩარიცხვა

როდესაც თანხა საბანკო ანგარიშზე შეგაქვს, ამ პროცესს თანხის ანგარიშზე ჩარიცხვა ეწოდება. მაგალითად, თუ ბანკში, შენს ანგარიშზე შეიტან 80 ლარს, ვიტყვით, რომ შენს ანგარიშზე 80 ლარი ჩარიცხე. დაიმახსოვრე, რომ მიუხედავად იმისა, რომ თანხას ტოვებ ბანკში, ეს შენი ფულია!

თანხის ანგარიშიდან გატანა

ფული, რომელიც საბანკო ანგარიშზე გაქვს, შეიძლება დაგჭირდეს სასუსნავის, ახალი წიგნის, ველოსიპედის ან სხვა რამის შესაძენად. ამ შემთხვევაში თანხის ანგარიშიდან გამოტანა დაგჭირდება. თუ ბანკომატიდან შენი ბარათით წიგნის შესაძენად 5 ლარს გაანაღდებ, ვიტყვით, რომ ანგარიშიდან 5 ლარი გამოიტანე.

ნაშთი

თანხას, რომელიც მოცემულ მომენტში საბანკო ანგარიშზე გაქვს, ნაშთი ეწოდება. მაგალითად, თუ ანგარიშზე 80 ლარი გაქვს, ეს ნიშნავს, რომ შენი ნაშთი 80 ლარს უდრის. თუ ანგარიშზე კიდევ შეიტან 150 ლარს, მაშინ შენი ნაშთი გაუტოლდება 80+150 ლარს, ანუ 230 ლარს. მეორე მაგალითიც განვიხილოთ: ვთქვათ, ანგარიშზე გაქვს 200 ლარი, და გამოიტანე 30 ლარი, მაშინ შენი ნაშთი გახდება 200-30, ანუ 170 ლარი.

საბანკო საკითხების მოზაიკა

ბარათი 1. რამდენიმე ძირითადი საბანკო ტერმინი

თანხის ანგარიშზე ჩარიცხვა

როდესაც თანხა საბანკო ანგარიშზე შეგაქვს, ამ პროცესს თანხის ანგარიშზე ჩარიცხვა ეწოდება. მაგალითად, თუ ბანკში, შენს ანგარიშზე შეიტან 80 ლარს, ვიტყვით, რომ შენს ანგარიშზე 80 ლარი ჩარიცხე. დაიმახსოვრე, რომ მიუხედავად იმისა, რომ თანხას ტოვებ ბანკში, ეს შენი ფულია!

თანხის ანგარიშიდან გატანა

ფული, რომელიც საბანკო ანგარიშზე გაქვს, შეიძლება დაგჭირდეს სასუსნავის, ახალი წიგნის, ველოსიპედის ან სხვა რამის შესაძენად. ამ შემთხვევაში თანხის ანგარიშიდან გამოტანა დაგჭირდება. თუ ბანკომატიდან შენი ბარათით წიგნის შესაძენად 5 ლარს გაანაღდებ, ვიტყვით, რომ ანგარიშიდან 5 ლარი გამოიტანე.

ნაშთი

თანხას, რომელიც მოცემულ მომენტში საბანკო ანგარიშზე გაქვს, ნაშთი ეწოდება. მაგალითად, თუ ანგარიშზე 80 ლარი გაქვს, ეს ნიშნავს, რომ შენი ნაშთი 80 ლარს უდრის. თუ ანგარიშზე კიდევ შეიტან 150 ლარს, მაშინ შენი ნაშთი გაუტოლდება 80+150 ლარს, ანუ 230 ლარს. მეორე მაგალითიც განვიხილოთ: ვთქვათ, ანგარიშზე გაქვს 200 ლარი, და გამოიტანე 30 ლარი, მაშინ შენი ნაშთი გახდება 200-30, ანუ 170 ლარი.

საბანკო საკითხების მოზაიკა

ბარათი 2. მიმდინარე ანგარიში

რისთვის გამოიყენება მიმდინარე ანგარიში?

მიმდინარე ანგარიში იმ ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც იყენებენ ბანკის მომსახურებებს და სურთ ბანკში თანხის უსაფრთხოდ შენახვა. მიმდინარე ანგარიშზე შესაძლებელია თანხის შეტანა (ჩარიცხვა), გატანა, გადარიცხვა (ერთი ანგარიშიდან მეორეზე) და კონვერტაცია (ანუ, ფულის გადაცვლა, მაგ., დოლარიდან ლარში). ამ აქტივობებს საბანკო ოპერაციები ეწოდება. მიმდინარე ანგარიშები შეიძლება ორ ჯგუფად დაჯყოთ: ანგარიშები, რომლებსაც ადამიანები იყენებენ პირადი საჭიროებისათვის და ანგარიშები, რომლებიც ბიზნესის საჭიროებისთვის გამოიყენება. მაგალითად, საცხოვრებელი მფლობელს შეიძლება ჰქონდეს ანგარიში, რომელზე განთავსებულ თანხას ოჯახის საჭიროებებისთვის ხარჯავს და ასევე, ჰქონდეს ანგარიში, რომელზე განთავსებული თანხითაც ყიდულობს ფქვილს საცხობისთვის.

მიმდინარე ანგარიში და საპროცენტო სარგებელი

როგორც წესი, მიმდინარე ანგარიშზე არ ხდება პროცენტის, ანუ საპროცენტო სარგებლის სარიცხვა. პროცენტი მომხმარებლებს დეპოზიტზე ერიცხებათ. ამრიგად, თუ თანხის დაგროვება გსურს და გინდა, რომ მასზე დაგერიცხოს სარგებელი, გირჩევ გახსნა დეპოზიტი!

მიმდინარე ანგარიშის დახურვა და გახსნა

მიმდინარე ანგარიშის გახსნა ძირითადად ფასიანია (თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მაგ., ბავშვებისთვის, ის შეიძლება უფასო იყოს) და ის ძირითადად უვადოდ იხსნება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბანკმა შესაძლებელია დახუროს მიმდინარე ანგარიში თუ მფლობელი ამ ანგარიშით არ ახორციელებს ოპერაციებს დიდი ხნის, მაგ., 1 წლის განმავლობაში და იმავდროულად, ანგარიშზე თანხაც არ არის (ანუ, ნაშთი ნულის ტოლია).

საბანკო საკითხების მოზაიკა

ბარათი 2. მიმდინარე ანგარიში

რისთვის გამოიყენება მიმდინარე ანგარიში?

მიმდინარე ანგარიში იმ ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც იყენებენ ბანკის მომსახურებებს და სურთ ბანკში თანხის უსაფრთხოდ შენახვა. მიმდინარე ანგარიშზე შესაძლებელია თანხის შეტანა (ჩარიცხვა), გატანა, გადარიცხვა (ერთი ანგარიშიდან მეორეზე) და კონვერტაცია (ანუ, ფულის გადაცვლა, მაგ., დოლარიდან ლარში). ამ აქტივობებს საბანკო ოპერაციები ეწოდება. მიმდინარე ანგარიშები შეიძლება ორ ჯგუფად დაჯყოთ: ანგარიშები, რომლებსაც ადამიანები იყენებენ პირადი საჭიროებისათვის და ანგარიშები, რომლებიც ბიზნესის საჭიროებისთვის გამოიყენება. მაგალითად, საცხოვრებელი მფლობელს შეიძლება ჰქონდეს ანგარიში, რომელზე განთავსებულ თანხას ოჯახის საჭიროებებისთვის ხარჯავს და ასევე, ჰქონდეს ანგარიში, რომელზე განთავსებული თანხითაც ყიდულობს ფქვილს საცხობისთვის.

მიმდინარე ანგარიში და საპროცენტო სარგებელი

როგორც წესი, მიმდინარე ანგარიშზე არ ხდება პროცენტის, ანუ საპროცენტო სარგებლის სარიცხვა. პროცენტი მომხმარებლებს დეპოზიტზე ერიცხებათ. ამრიგად, თუ თანხის დაგროვება გსურს და გინდა, რომ მასზე დაგერიცხოს სარგებელი, გირჩევ გახსნა დეპოზიტი!

მიმდინარე ანგარიშის დახურვა და გახსნა

მიმდინარე ანგარიშის გახსნა ძირითადად ფასიანია (თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მაგ., ბავშვებისთვის, ის შეიძლება უფასო იყოს) და ის ძირითადად უვადოდ იხსნება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბანკმა შესაძლებელია დახუროს მიმდინარე ანგარიში თუ მფლობელი ამ ანგარიშით არ ახორციელებს ოპერაციებს დიდი ხნის, მაგ., 1 წლის განმავლობაში და იმავდროულად, ანგარიშზე თანხაც არ არის (ანუ, ნაშთი ნულის ტოლია).

საბანკო საკითხების მოზაიკა

ბარათი 3. რა უნდა ვიცოდეთ საბანკო ბარათების შესახებ?

საბანკო საგადახდო ბარათი

საბანკო საგადახდო ბარათი დაკავშირებულია შენს ანგარიშთან, რომელზეც შენი თანხა განთავსებული და რომლითაც სხვადასხვა ოპერაციას ახორციელებ. შესაბამისად, ეს ბარათი შესაძლებელს ხდის, გამოიტანო თანხა ბანკომატიდან, ან თანხის გამოტანის გარეშე მალაზიაში შეიძინო ესა თუ ის ნივთი. მალაზიებში თანხას ბარათისა და პოს-ტერმინალის საშუალებით იხდი („ბარათს ატარებ“); პოს ტერმინალი მოწყობილობაა, რომელშიც ბარათს ათავსებ და პინ კოდი შეგყავს, რათა განახორციელო ტრანზაქცია (ანუ, საბანკო ოპერაცია). საბანკო საგადახდო ბარათი ნაღდი, ანუ ქალაქის ფულის კარგი ალტერნატივაა! ბარათი ნაღდ ფულთან შედარებით ბევრად მოსახერხებელი და დაცულია, რადგან არ გინევს თან დიდი თანხის ტარება, ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში კი შესაძლებელია მისი დაბლოკვა, შესაბამისად, შენი თანხა არ დაიკარგება, განსხვავებით ნაღდი ფულისგან, რომელიც შესაძლოა დაგეკარგა თუ მაგალითად, საფულეს დაკარგავდი.

ბარათის პინ კოდი

როდესაც ბანკი გაძლევს ბარათს, ის ასევე დალუქული კონვერტით გადმოგცემს, ან SMS შეტყობინებით გამოგიგზავნის 4-ნიშნა პინ კოდს, ანუ შენი ბარათის პერსონალურ პაროლს, რომლის მითითების გზითაც შეძლებ ბანკომატიდან გამოიტანო თანხა ან მალაზიაში შეიძინო ესა თუ ის ნივთი. პინ კოდი ბარათის მიღებისთანავე უნდა დაიმახსოვრო და არავის უნდა გაანდო! თუ მოგეჩვენა, რომ პინ კოდი რთული დასამახსოვრებელია შენთვის, მისი შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია ბანკომატის დახმარებით. არ დაგრჩეს ბარათი ბანკომატში და არავის ათხოვო ის! გაითვალისწინე, რომ პოს ტერმინალის გამოყენებით გადახდისას, ზოგჯერ საკმარისია ბარათი უბრალოდ გადაატარო მოწყობილობას და პინ კოდის შეყვანა არც არის საჭირო; ამიტომ, ორმაგად უნდა გაუფრთხილდე შენს ბარათს, რომ ის სხვა ადამიანების ხელში არ აღმოჩნდეს!

საბანკო საკითხების მოზაიკა

ბარათი 3. რა უნდა ვიცოდეთ საბანკო ბარათების შესახებ?

საბანკო საგადახდო ბარათი

საბანკო საგადახდო ბარათი დაკავშირებულია შენს ანგარიშთან, რომელზეც შენი თანხა განთავსებული და რომლითაც სხვადასხვა ოპერაციას ახორციელებ. შესაბამისად, ეს ბარათი შესაძლებელს ხდის, გამოიტანო თანხა ბანკომატიდან, ან თანხის გამოტანის გარეშე მალაზიაში შეიძინო ესა თუ ის ნივთი. მალაზიებში თანხას ბარათისა და პოს-ტერმინალის საშუალებით იხდი („ბარათს ატარებ“); პოს ტერმინალი მოწყობილობაა, რომელშიც ბარათს ათავსებ და პინ კოდი შეგყავს, რათა განახორციელო ტრანზაქცია (ანუ, საბანკო ოპერაცია). საბანკო საგადახდო ბარათი ნაღდი, ანუ ქალაქის ფულის კარგი ალტერნატივაა! ბარათი ნაღდ ფულთან შედარებით ბევრად მოსახერხებელი და დაცულია, რადგან არ გინევს თან დიდი თანხის ტარება, ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში კი შესაძლებელია მისი დაბლოკვა, შესაბამისად, შენი თანხა არ დაიკარგება, განსხვავებით ნაღდი ფულისგან, რომელიც შესაძლოა დაგეკარგა თუ მაგალითად, საფულეს დაკარგავდი.

ბარათის პინ კოდი

როდესაც ბანკი გაძლევს ბარათს, ის ასევე დალუქული კონვერტით გადმოგცემს, ან SMS შეტყობინებით გამოგიგზავნის 4-ნიშნა პინ კოდს, ანუ შენი ბარათის პერსონალურ პაროლს, რომლის მითითების გზითაც შეძლებ ბანკომატიდან გამოიტანო თანხა ან მალაზიაში შეიძინო ესა თუ ის ნივთი. პინ კოდი ბარათის მიღებისთანავე უნდა დაიმახსოვრო და არავის უნდა გაანდო! თუ მოგეჩვენა, რომ პინ კოდი რთული დასამახსოვრებელია შენთვის, მისი შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია ბანკომატის დახმარებით. არ დაგრჩეს ბარათი ბანკომატში და არავის ათხოვო ის! გაითვალისწინე, რომ პოს ტერმინალის გამოყენებით გადახდისას, ზოგჯერ საკმარისია ბარათი უბრალოდ გადაატარო მოწყობილობას და პინ კოდის შეყვანა არც არის საჭირო; ამიტომ, ორმაგად უნდა გაუფრთხილდე შენს ბარათს, რომ ის სხვა ადამიანების ხელში არ აღმოჩნდეს!

საბანკო საკითხების მოზაიკა

ბარათი 4. ბანკომატი

რისთვის გამოიყენება ბანკომატი?

ბანკომატი არის სპეციალური მოწყობილობა, რომელიც იმისთვის გამოიყენება, რომ მომხმარებელმა საკუთარი საბანკო საგადახდო ბარათის გამოყენებით ანგარიშიდან გამოიტანოს თანხა ან შეამოწმოს, რა თანხა აქვს ანგარიშზე (ანუ, შეამოწმოს ნაშთი). ბანკომატის გამოყენებისას აუცილებლად უნდა მიუთითო 4-ნიშნა პინ კოდი (რომელიც შენ გარდა არავინ უნდა იცოდეს!) და თანხა, რომლის გამოტანაც გსურს. ბანკომატი ძალზე მოსახერხებელი გამოგონებაა, რადგან შეგიძლია, მისი დღის ნებისმიერ დროს გამოყენება, მაშინაც კი, როცა ბანკები დახურულია.

რა უნდა გავითვალისწინოთ ბანკომატის გამოყენებისას?

დაიმახსოვრე, რომ ბანკომატის გამოყენებისას უნდა გამოიჩინო სიფრთხილე! არავის გაანდო შენი პინ კოდი, არ დაგრჩეს ბარათი ბანკომატში ფულის გამოტანის შემდეგ, არ დაკარგო ბარათი ან გამოტანილი ფული და დარწმუნდი, რომ ბარათის გამოყენებისას შენთან ზედმეტად ახლოს არავინ დგას და არავინ ხედავს შენს პირად მონაცემებს.

საბანკო საკითხების მოზაიკა

ბარათი 4. ბანკომატი

რისთვის გამოიყენება ბანკომატი?

ბანკომატი არის სპეციალური მოწყობილობა, რომელიც იმისთვის გამოიყენება, რომ მომხმარებელმა საკუთარი საბანკო საგადახდო ბარათის გამოყენებით ანგარიშიდან გამოიტანოს თანხა ან შეამოწმოს, რა თანხა აქვს ანგარიშზე (ანუ, შეამოწმოს ნაშთი). ბანკომატის გამოყენებისას აუცილებლად უნდა მიუთითო 4-ნიშნა პინ კოდი (რომელიც შენ გარდა არავინ უნდა იცოდეს!) და თანხა, რომლის გამოტანაც გსურს. ბანკომატი ძალზე მოსახერხებელი გამოგონებაა, რადგან შეგიძლია, მისი დღის ნებისმიერ დროს გამოყენება, მაშინაც კი, როცა ბანკები დახურულია.

რა უნდა გავითვალისწინოთ ბანკომატის გამოყენებისას?

დაიმახსოვრე, რომ ბანკომატის გამოყენებისას უნდა გამოიჩინო სიფრთხილე! არავის გაანდო შენი პინ კოდი, არ დაგრჩეს ბარათი ბანკომატში ფულის გამოტანის შემდეგ, არ დაკარგო ბარათი ან გამოტანილი ფული და დარწმუნდი, რომ ბარათის გამოყენებისას შენთან ზედმეტად ახლოს არავინ დგას და არავინ ხედავს შენს პირად მონაცემებს.

საბანკო საკითხების მოზაიკა

ბარათი 5. რა უნდა ვიცოდეთ დეპოზიტების შესახებ?

რა არის დეპოზიტი?

თუ გაქვს დეპოზიტი ბანკში, ეს ნიშნავს, რომ ბანკთან გაქვს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ის შენს ფულს მცირე ან დიდი დროის განმავლობაში უსაფრთხოდ ინახავს. ამასთან, დეპოზიტზე გერიცხება საპროცენტო სარგებელი (პროცენტი). გაითვალისწინე, რომ არსებობს რამდენიმე სახის დეპოზიტი, და არჩევანი შენი მიზნების მიხედვით უნდა გააკეთო.

რას ნიშნავს საპროცენტო სარგებელი დეპოზიტზე?

საპროცენტო სარგებელი ის თანხაა, რომელსაც ბანკი ამატებს (ანუ, არიცხავს) შენს დეპოზიტზე არსებულ თანხას. ეს სარგებელი მომხმარებლისთვის დამატებითი სტიმულია, რომ მეტი ფული დაზოგოს. ბანკები ყოველთვის აცნობებენ მომხმარებელს, თუ რამდენ პროცენტს არიცხავენ მათ დეპოზიტზე არსებულ თანხას – ანუ, რამდენს შეადგენს დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი. საპროცენტო სარგებელი პროცენტის სახითაა გამოსახული: მაგ., ბანკმა შეიძლება გითხრას, რომ შენს დეპოზიტზე არსებულ თანხას 5%-იან სარგებელს დაარიცხავს. სწორედ ამ 5%-ს უწოდებენ საპროცენტო განაკვეთს. თუ დეპოზიტზე 1 წლით 100 ლარს განათავსებ, ხოლო საპროცენტო განაკვეთი წლიურ 5%-ს უდრის, მაშინ წლის განმავლობაში ბანკი შენს 100 ლარს 100-ის 5%-ს, ანუ 5 ლარს დაარიცხავს, ჯამში კი 105 ლარი გექნება.

საბანკო საკითხების მოზაიკა

ბარათი 5. რა უნდა ვიცოდეთ დეპოზიტების შესახებ?

რა არის დეპოზიტი?

თუ გაქვს დეპოზიტი ბანკში, ეს ნიშნავს, რომ ბანკთან გაქვს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ის შენს ფულს მცირე ან დიდი დროის განმავლობაში უსაფრთხოდ ინახავს. ამასთან, დეპოზიტზე გერიცხება საპროცენტო სარგებელი (პროცენტი). გაითვალისწინე, რომ არსებობს რამდენიმე სახის დეპოზიტი, და არჩევანი შენი მიზნების მიხედვით უნდა გააკეთო.

რას ნიშნავს საპროცენტო სარგებელი დეპოზიტზე?

საპროცენტო სარგებელი ის თანხაა, რომელსაც ბანკი ამატებს (ანუ, არიცხავს) შენს დეპოზიტზე არსებულ თანხას. ეს სარგებელი მომხმარებლისთვის დამატებითი სტიმულია, რომ მეტი ფული დაზოგოს. ბანკები ყოველთვის აცნობებენ მომხმარებელს, თუ რამდენ პროცენტს არიცხავენ მათ დეპოზიტზე არსებულ თანხას – ანუ, რამდენს შეადგენს დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი. საპროცენტო სარგებელი პროცენტის სახითაა გამოსახული: მაგ., ბანკმა შეიძლება გითხრას, რომ შენს დეპოზიტზე არსებულ თანხას 5%-იან სარგებელს დაარიცხავს. სწორედ ამ 5%-ს უწოდებენ საპროცენტო განაკვეთს. თუ დეპოზიტზე 1 წლით 100 ლარს განათავსებ, ხოლო საპროცენტო განაკვეთი წლიურ 5%-ს უდრის, მაშინ წლის განმავლობაში ბანკი შენს 100 ლარს 100-ის 5%-ს, ანუ 5 ლარს დაარიცხავს, ჯამში კი 105 ლარი გექნება.

საბანკო საკითხების მოზაიკა

ბარათი 6. დეპოზიტის ტიპები

რა არის ვადიანი დეპოზიტი?

ვადიანი დეპოზიტი ისეთი ტიპის დეპოზიტია, რომელზეც ფული წინასწარ განსაზღვრული დროით შეგვაქვს – მაგ., 6 თვით ან 1 წლით – და ბანკს ვუთანხმდებით, რომ ამ ვადის ამონურვამდე ამ თანხას არც მოვაკლებთ და არც დავამატებთ რაღაც. ვადიან დეპოზიტზე ძირითადად უფრო მაღალი პროცენტი, ანუ სარგებელი ერიცხება მომხმარებელს, ვიდრე სხვა ტიპის დეპოზიტებზე. თანაც, რაც უფრო გრძელ ვადაზე ხსნის მომხმარებელი ვადიან დეპოზიტს, მით უფრო მაღალია სარგებელი. ამ გზით ქვეყანურია თანხის გრძელვადიანი და ძვირადღირებული მიზნისთვის დაზოგვა – მაგ., სწავლის დასაფინანსებლად ან მანქანის საყიდლად. ვადიანი დეპოზიტი შეიძლება იყოს **ზრდადი**, რაც ნიშნავს, რომ მას წინასწარ განსაზღვრული ვადით ვხსნით, მაგრამ მასზე დროდადრო შეგვიძლია დავამატოთ თანხა. ამასთან, ზრდად ვადიან დეპოზიტზე სარგებელი უფრო ნაკლებია ვიდრე სტანდარტულ, ანუ ჩვეულებრივ ვადიან დეპოზიტზე. **საბავშვო დეპოზიტიც** ზრდადი დეპოზიტის სახეა და მასზეც შესაძლებელია პერიოდულად თანხის დამატება. საბავშვო დეპოზიტი, როგორც წესი, ბავშვის სრულწლოვანებამდე, ანუ 18 წლამდე იხსნება და ის მშობლებს შესაძლებლობას აძლევს, ბავშვის მომავლისთვის თანხის დაგროვება ბავშვის დაბადებისთანავე დაიწყონ.

რა არის უვადო დეპოზიტი?

უვადო დეპოზიტი ისეთი დეპოზიტია, რომელსაც არა წინასწარ განსაზღვრული, შეზღუდული დროით, არამედ უვადოდ ვხსნით – ანუ, არ ვუთითებთ, თუ რა თარიღამდე გვინდა რომ შეგვინახოს ბანკმა თანხა. უვადო დეპოზიტს „მოთხოვნამდე“ დეპოზიტს უწოდებენ და ის ძალიან მოსახერხებელია, რადგან, როგორც სახელი მიუთითებს, შეგვიძლია დეპოზიტს მაშინ მოვაკლოთ ან დავამატოთ თანხა, როცა დაგვჭირდება. ამრიგად, მოთხოვნამდე დეპოზიტი მოსახერხებელია ყოველდღიურ და მოულოდნელ ხარჯებთან გასამკლავებლად. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ როგორც წესი, მოთხოვნამდე დეპოზიტზე საპროცენტო სარგებელი უფრო ნაკლებია, ვიდრე ვადიან დეპოზიტზე.

საბანკო საკითხების მოზაიკა

ბარათი 6. დეპოზიტის ტიპები

რა არის ვადიანი დეპოზიტი?

ვადიანი დეპოზიტი ისეთი ტიპის დეპოზიტია, რომელზეც ფული წინასწარ განსაზღვრული დროით შეგვაქვს – მაგ., 6 თვით ან 1 წლით – და ბანკს ვუთანხმდებით, რომ ამ ვადის ამონურვამდე ამ თანხას არც მოვაკლებთ და არც დავამატებთ რაღაც. ვადიან დეპოზიტზე ძირითადად უფრო მაღალი პროცენტი, ანუ სარგებელი ერიცხება მომხმარებელს, ვიდრე სხვა ტიპის დეპოზიტებზე. თანაც, რაც უფრო გრძელ ვადაზე ხსნის მომხმარებელი ვადიან დეპოზიტს, მით უფრო მაღალია სარგებელი. ამ გზით ქვეყანურია თანხის გრძელვადიანი და ძვირადღირებული მიზნისთვის დაზოგვა – მაგ., სწავლის დასაფინანსებლად ან მანქანის საყიდლად. ვადიანი დეპოზიტი შეიძლება იყოს **ზრდადი**, რაც ნიშნავს, რომ მას წინასწარ განსაზღვრული ვადით ვხსნით, მაგრამ მასზე დროდადრო შეგვიძლია დავამატოთ თანხა. ამასთან, ზრდად ვადიან დეპოზიტზე სარგებელი უფრო ნაკლებია ვიდრე სტანდარტულ, ანუ ჩვეულებრივ ვადიან დეპოზიტზე. **საბავშვო დეპოზიტიც** ზრდადი დეპოზიტის სახეა და მასზეც შესაძლებელია პერიოდულად თანხის დამატება. საბავშვო დეპოზიტი, როგორც წესი, ბავშვის სრულწლოვანებამდე, ანუ 18 წლამდე იხსნება და ის მშობლებს შესაძლებლობას აძლევს, ბავშვის მომავლისთვის თანხის დაგროვება ბავშვის დაბადებისთანავე დაიწყონ.

რა არის უვადო დეპოზიტი?

უვადო დეპოზიტი ისეთი დეპოზიტია, რომელსაც არა წინასწარ განსაზღვრული, შეზღუდული დროით, არამედ უვადოდ ვხსნით – ანუ, არ ვუთითებთ, თუ რა თარიღამდე გვინდა რომ შეგვინახოს ბანკმა თანხა. უვადო დეპოზიტს „მოთხოვნამდე“ დეპოზიტს უწოდებენ და ის ძალიან მოსახერხებელია, რადგან, როგორც სახელი მიუთითებს, შეგვიძლია დეპოზიტს მაშინ მოვაკლოთ ან დავამატოთ თანხა, როცა დაგვჭირდება. ამრიგად, მოთხოვნამდე დეპოზიტი მოსახერხებელია ყოველდღიურ და მოულოდნელ ხარჯებთან გასამკლავებლად. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ როგორც წესი, მოთხოვნამდე დეპოზიტზე საპროცენტო სარგებელი უფრო ნაკლებია, ვიდრე ვადიან დეპოზიტზე.

საბანკო საკითხების მოზაიკა